

**საქართველოს კანონპროექტზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი**

კანონპროექტის მიღების მიზეზია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სასამართლოს საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპის განმტკიცება, ასევე „დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით“ ევროპული კომისიის (ვენეციის კომისიის) მიერ მოქმედი კანონის დებულებების შეფასება, რომელშიც გამოთქმულია რეკომენდაციები „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების ევროპისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე.

**ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი**

კანონპროექტი მიზნად ისახავს სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას და სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობას, ამასთან სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების უზრუნველყოფას. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დემოკრატიული საქართველოს განვითარების გზაზე და მნიშვნელოვნად დააჩქარებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

კანონპროექტის თანახმად უფრო ნათლად განისაზღვრება დისციპლინური გადაცდომის სახეები, განსაკუთრებით კი მოქმედი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახედ განსაზღვრავს კანონის უხეშ ან/და არაერთგზის დარღვევას.

2004 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებმა განმარტა კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევა, თუმცა, ვენეციის კომისიის მოსაზრებით არ არის ნათელი, თუ როგორ მოიაზრება „შენიშვნა“, როგორც ნორმაზე გამოთქმული არაოფიციალური კომენტარი, ან უნდა იქნას თუ არა ეს მიჩნეული როგორც თვით ამ ნორმის ნაწილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით და დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა. ამასთან, ამავე მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომელიც აკონკრეტებს და ნათლად განსაზღვრავს რა შეიძლება ჩაითვალოს კანონის უხეშ დარღვევად. ამავე პუნქტში აისახა მოქმედი შენიშვნის ფორმულირება და იგი გახდა ნორმის არსებითი ნაწილი. პროექტის თანახმად, კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს, კერძოდ: მოსამართლის ქმედება, რამაც უკანონო პატიმრობა გამოიწვია ან უკანონო პატიმრობის საფრთხე

შექმნა; სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ისეთი საკითხების მიუთითებლობა, რომელთა გადაწყვეტა კანონმდებლობით სავალდებულოა; მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა; მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სამი ან მეტი არაერთგვაროვანი საფუძვლის არსებობა; საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა. ვფიქრობთ, დისციპლინური გადაცდომისათვის ასეთი სიცხადის შექმნა იქნება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გარანტი.

პროექტის თანახმად, უქმდება კანონის არაერთგვარის დარღვევა, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე.

კანონის მე-2 მუხლის შენიშვნაში ასევე განმარტებულია, რომ მოსამართლის მიერ კანონის უხეშ ან/და არაერთგვარის დარღვევად არ ჩაითვლება კანონის არასწორი განმარტება. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, აუცილებელი იქნებოდა გაიმიჯნოს „კანონის არასწორი ინტერპრეტაცია საკუთარ რწმენაზე დაყრდნობით“ და „კანონის დარღვევა“. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მოქმედი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად დისციპლინური გადაცდომის სახეა „სამოსამართლო ეთიკის ნორმების სხვაგვარი დარღვევა“. ვენეციის კომისიის შეფასებით არ არის ნათელი, აღნიშნული დებულება არსებულ „ეთიკის კოდექსს“ ეხება თუ საერთოდ – დაუწერელ წესებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ნორმიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „სხვაგვარი“. შესაბამისად, პროექტის თანახმად ეთიკის ნორმებში მოიაზრება მოსამართლის ის ქცევის წესები, რომლებიც ასახულია სამოსამართლო ეთიკის კოდექსში.

პროექტში გაზიარებულია ვენეციის კომისიის კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიება გამოყენებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის პროპორციულად. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონს ემატება 54<sup>1</sup> მუხლი, რომელიც აკონკრეტებს რომელი გადაცდომისათვის რა სახის სახდელის ზომა შეიძლება იქნეს გამოყენებული.

კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის განმტკიცების მიზნით, 54-ე მუხლის პირველ პუნქტში აისახა პრინციპი, რომლის თანახმადაც დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა შეფარდება უნდა განხორციელდეს მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით.

ვენეციის კომისიის შეფასებით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება არ უნდა იქნეს გამოყენებული ავტომატურ რეჟიმში. აღნიშნულის გათვალისწინებით ახლებურადაა ჩამოყალიბებული გათავისუფლების საფუძველი, რომლის თანახმად ამ გადაწყვეტილების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი მძიმე გადაცდომა, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი**

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.